ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟუჟუნ... გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრები:

„ნეფტჩი“ — „ზენიტი“ 2 : 1
„შახტიორი“ — სსკა 0 : 0
„არარატი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1 : 1
სსკ (როსტოვი) — „ჩერნომორეცი“ 4 : 0
„კაირატი“ — „სპარტაკი“ 1 : 2
„პახტაკორი“ — „ლოკომოტივი“ 1 : 1
„დინამო“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (მინსკი) 0 : 3

7 : 2

ჟუჟუნ...

თბილისის „დინამომ“ ანგარიშით 7:2 დაამარცხა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“. ბურთები გამარჯვებულთაგან გაიტანეს: გავაშელმა (3), ნოდიამ და ასათიანმა. სტუმართაგან გოლების ავტორები არიან არიაპოვი და კაზაკოვი. ამრიგად, თბილისელთა ცენტრფორვარდი გ. გავაშელი მესამე ფეხბურთელი გახდა, ვინც საკავშირო ჩემპიონატის ერთ მატჩში 3 ბურთი გაიტანა. ამავე დროს, გავაშელი წლევანდელ გათამაშებაში უკვე 20 გოლის ავტორი გახდა და საუკეთესო ბომბარდირისთვის გაზეთ „ტრუდის“ დაწესებული პრიზის მოპოვების სერიოზული განაცხადიც გააკეთა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 222 (3706)

13 1968 წ. ნოემბერი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



სპორტული სიახლენი...

◆ **სან-ხუანი**, 12 ნოემბერი. დევისის თასის საზონათშორისო მატჩში ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ინდოეთის გუნდი და დეკემბრის ბოლოს პრიზის ახალანდელ მფლობელებს—ავსტრალიელებს შეხვდებიან ფინალურ ორთაბრძოლაში. აქამდე „მწვანე კონტინენტის“ ჩოგბურთელებმა 23-ჯერ გაიმარჯვეს დევისის თასის ტურნირში, რომელიც მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ პირველობად ითვლება. ამერიკელთა აქტივშია 20 გამარჯვება.

◆ **ციურიხი**, 12 ნოემბერი. ქალაქის მერმა ზ. ვიდმერმა განაცხადა, რომ შვეიცარია ეს ქალაქი თავის კანდიდატურას წამოაყენებს 1976 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებაზე. სხვა კანდიდატები არიან ესტერსუნდი (შვეცია), დენვერი (აშშ) და ვანკუვერი (კანადა).

◆ **სტოკჰოლმი**, 12 ნოემბერი. შვედმა მწერალმა ბ. ბოსტრანდმა მიიღო მიწვევა მოამზადოს იაპონიის ბიატლონისტთა გუნდი, რომელიც საპოროს 1972 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს. შეიძლებელია, შვედი მწვრთნელის მოწვევებმა უკვე 1969 წელს სცადონ თავიანთი ძალა — მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც შვეიცარიაში გაიმართება.

◆ **ბუდაპეშტი**, 12 ნოემბერი. უნგრეთის „დოჟას“ პოკერისტები გავიდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე წრეში — საპასუხო მატჩში მათ შინ დაამარცხეს ბულგარეთის „მეტალურგი“ — 7:3. ამ გუნდების პირველი შეხვედრა სოფიაში ფრედ (4:4) დამთავრდა.

მდიდარი ნადავლი

პარიზი, 11 ნოემბერი. საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით გამოდიან ფარფლებითა და აკვალანგებით ცურვაში საფრანგეთის გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში.

ტურნირის პირველ დღეს დახურულ აუზში ოქროს ოთვე მედალი საბჭოთა „წყალქვეშელმა“ გაიმარჯვა. ახალგაზრდა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ა. კრასნიკოვმა. იგი პირველი იყო ფარფლებით 100 მეტრზე (46.5) და 200 მეტრზე (1.47.1) ცურვაშიც.

საბჭოთა ქალებისა და კაცების დიდი უპირატესობით დამთავრდა ესტაფეტებიც.

ორგზის იზეიმა გამარჯვება ტალინელმა სპორტსმენმა ქალმა უ. ინდრიკსონმა, რომელიც პირველობდა 100 მეტრზე და ერთ საზღვაო მილზე ფარფლებით ცურვაში. საბჭოთა გუნდის წევრს ვ. კუზნეცოვას სამი პირველი ადგილი ხვდა — ფარფლებით 200 მეტრზე და აკვალანგით 100 და 500 მეტრზე ცურვაში გამარჯვებისთვის.

შეჯიბრება გრძელდება.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 13 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	38	21	15	2	58—25	57
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	37	21	9	7	62—41	51
სსკა	38	20	10	8	50—30	50
„ტორპედო“ (მოსკოვი)	37	18	13	6	58—30	49
„დინამო“ (მოსკოვი)	38	19	9	10	58—32	47
„დინამო“ (მინსკი)	37	17	11	9	50—34	45
„დინამო“ (თბილისი)	37	16	12	9	51—27	44
„ნეფტჩი“ (ბაქო)	38	13	12	13	42—48	38
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	37	11	15	11	45—47	37
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	38	10	17	11	35—39	37
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	38	10	14	14	35—49	34
სსკ (როსტოვი)	38	11	11	16	44—48	33
„ზარია“ (ლუგანსკი)	38	10	13	15	23—41	33
„შახტიორი“ (დონეცკი)	38	9	14	15	38—42	32
„კაირატი“ (ალმა-ათა)	38	12	8	18	33—42	32
„არარატი“ (ერევანი)	38	11	9	18	34—46	31
„პრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	38	9	11	18	21—45	29
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	37	9	10	18	40—59	28
„ტორპედო“ (ქუთაისი)	38	9	10	19	27—48	28
„დინამო“ (კიროვაბადი)	38	5	9	24	25—59	19

ს. მეტრეველი — საუკეთესო გარემარბი

ბრაზილიის პრესა ფართოდ ეხმაურება თავისი ქვეყნისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდების ამასწინანდელ საფეხბურთო მატჩს. პრესა დიდი ხოტბით იხსენიებს სამივე საბჭოთა ფეხბურთელს. კერძოდ, ს. მეტრეველი ერთხმად აღიარეს მატჩის საუკეთესო გარემარბად და ეს მაშინ, როცა ჯაჩმაც (იუგოსლავია) და ამანსიომაც (ესპანეთი) ძალიან კარგად ითამაშეს.

რუსთაველ მოსწავლეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მხატვრული ტანვარჯიში.

სურათზე: რუსთავის მე-3 საშუალო სკოლის მერვეკლასელი, ქალაქის ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში ნ. კინწურაშვილი ასპარეზობისას.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.



ᲥᲔᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲯᲘ

● **ბაკო, 11 ნოემბერი.** დღეს აზერბაიჯანის დედაქალაქში გაიხსნა სსრ კავშირის XXVIII ჩემპიონატი რუსულ შაშში. ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობს სექტემბერში გამართული ნახევარფინალური ტურნირების 13 გამარჯვებული. ფინალისტთა შორის ეხვდებით დიდოსტატი ი. არუსტამოვს (ბაქო „სპარტაკი“) და 17 სპორტის ოსტატს. ჩემპიონატში ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმოდგენილი აზერბაიჯანის, ლენინგრადისა და უკრაინის სპორტსმენები (შესაბამისად 5, 4 და 3 კაცი), ხოლო საზოგადოებათა და უწყებათა შორის — არმიელები და „სპარტაკი“, რომლებმაც ბაქოში 4-4 მოშაშე მოავლინეს. ხვალ გაიმართება I ტური. ჩემპიონატი 2 დეკემბრამდე გასტანს.

● **ბელგრადი, 11 ნოემბერი.** დამთავრდა იუგოსლავიის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. საბჭოთა ოსტატებმა ოთხ ფინალურ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა და ორში წარმატებას მიაღწიეს. გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა სსრ კავშირის ჩემპიონი ზ. რუდნოვა. მან ჯერ მოსკოველ ს. გომოზკოვთან ერთად დაამარცხა შერეული ინტერნაციონალური წყვილი (გერმანელი დ. პოგეშტადტი და მოსკოველი ა. ამელინი) — 21:9, 21:15, 21:16, მერე კი ახალგაზრდა შვედ ჩოგბურთელ ქალთან მ. ნეიდერტთან წყვილში ფარ-ხმალი დააყრევინა ძლიერ რუმინულ დუეტს (მ. ალექსანდრუ და ე. მიხალკუ) — 21:13, 15:21, 24:22, 12:21, 21:13. ოქროს ორი მედალი მოიხვეჭეს მასპინძლებმა: ევროპის ჩემპიონმა დ. შურბეგმა ფინალში დაამარცხა გომოზკოვი — 13:21, 21:12, 15:21, 26:24, 21:11. მანვე თანამემამულე ა. ხტიპანჩიჩთან წყვილში მოუგო ვადამწყვეტი შეხვედრა გომოზკოვისა და ამელინის დუეტს — 21:15, 21:19, 26:24. ქალთა შორის ყველას აჯობა ევროპის 1966 წლის ჩემპიონმა ალექსანდრომ: მან ხძლია უნგრელ ბ. კიშაზის — 15:21, 17:21, 21:16, 21:16, 21:15.



მექსიკის ექო

მექსიკის XIX ოლიმპიურ თამაშებში მოკრივეთა ტურნირი ტყავის ხელთათმნის საბჭოთა ოსტატების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. მათ „არენა მექსიკოს“ რინგზე მოიგეს ოქროს 3, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 1 მედალი, ბევრად გაუსწრეს მთავარ მეტოქეებს — ამერიკელებს, მექსიკელებსა და პოლონელებს. ვ. ბარკერის თასი, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ენიჭება ზსოფლიოს საუკეთესო მოყვარულ მოკრივეს, გადაეცა მოსკოველ სტუდენტს ბ. ლაგუტინს. ასე დაამსხვრა მითი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ეროვნული გუნდი ვერ შეძლებს ტოკიოს წარმატების გამეორებას და დათმობს მოპოვებულ პოზიციებს.

გამარჯვების გასალები

საფუძველი ასეთი ლაპარაკისთვის იყო. 1967 წელს რომში გაბართულ ევროპის პირველობაში საბჭოთა მოკრივეებმა წააგეს თავიანთ ძველ მეტოქეებთან — პოლონელებთან. ამიტომ ბევრ სპეციალისტსა და მიმომხილველს მიაჩნდა, რომ საბჭოთა მოკრივეების ნაკრები მექიკოს ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში ვერ შეძლებდა ძალის აღდგენას. მაგრამ საბჭოთა მოკრივეების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ოგურენკოვმა უნარიანად შეუთავსა ერთმანეთს ახალგაზრდა მოკრივეთა სიფიცხე და ვეტერანების ტაქტიკური სიბრძნე. ოგურენკოვის სტრატეგიამ გაამართლა და საბჭოთა გუნდმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

სსრ კავშირის ნაკრების საშუალო ასაკი თითქმის 27 წელი იყო. ყველაზე ახალგაზრდა გახლდათ ნიკოლაეველი სტუდენტი ვ. ზაპოროჟეცი (21 წელი), ხოლო ყველაზე ხნიერნი იყვნენ ა. კისელიოვი და ბ. ლაგუტინი (30 წელი).

გამარჯვება იჭედებოდა დაძაბულ წვრთნაში, დიდ საერთაშორისო ტურნირებში, ქვეყნის ჩემპიონატებში. ოლიმპიურ გუნდში საგზურებისთვის ბრძოლა წარმოებდა ოლიმპიადისწინა 4 წლის მანძილზე. სსრ კავშირის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელებმა ათობით კანდიდატი გამოსცადეს, სანამ საბოლოოდ არ შეჩერდნენ იმ თერთმეტ მოკრივეზე, ოკეანის გაღმა რომ წაიყვანეს.

ოლიმპიურ რინგზე მოწინავე საბჭოთა მოკრივეებმა აჩვენეს კრივის სამამულო სკოლის საუკეთესო თვისებები — სიდინჯე, ზუსტი გათვლა, რთული კომბინაციური ბრძოლის უნარი, შემტევი და დაცვითი ილეთების მდიდარი არსენალი.

გზა კვარცხლბეკისკენ

სამწუხაროდ, მექსიკის ოლიმპიადის მოკრივეთა ტურნირი არ გამირჩეოდა მაღალი ტექნიკური და ტაქტიკური დონით. მოკრივეთა უმრავლესობამ აქცენტი უმთავრესად მანოკაუტირებელ დარტყმებზე გადაიტანა. რინგზე უფრო მეტი იყო ეგრეთ წოდებული ძალისმიერი კრივი, როცა მეტოქენი ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ გაიმარჯვონ, თითქმის არ ფიქრობენ დაცვაზე, ღებულობენ უამრავ დარტყმას და სრულიად ავიწყდებათ მოკრივეთა ორთაბრძოლის ესთეტიკური მხარე. მგონი, მხოლოდ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მოკრივეები აჩვენებდნენ ტექნიკურ კრივს — ცდილობდნენ ლამაზად და ტექნიკურად ეჯობნათ მეტოქისთვის, მაგრამ ისინიც მიმართავდნენ ხოლმე მანოკაუტირებელ დარტყმებს, ვინაიდან ბევრი მსაჯი აშკარად მხარს უჭერდა ძალისმიერ ბრძოლას.

„არენა მექიკოს“ რინგზე გამართული ტურნირი ყველაზე წარმომადგენლობითი იყო ოლიმპიადების ისტორიაში. ასპარეზობდა ყველა კონტინენტის 70 ქვეყნის 312 მოკრივე. ოლიმპიური კვარცხლბეკისკენ გზა ისე რთული იყო, როგორც არასდროს და 14 დღეს გაგრძელდა. შესაძლოა, მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაციამ იფიქროს იმაზე, რომ ოლიმპიადაზე დაუშვან კონტინენტების ზონალურ ტურნირებში გამარჯვებულები და საუკეთესო მოკრივეები. მაშინ უთუოდ შემცირდება ტურნირის ხანგრძლივობა და ბევრად ამაღლდება ოლიმპიური შეჯიბრების ხარისხი.

„არენა მექიკოს“ სიურპრიზები

ოკრივეთა ოლიმპიურ ტურნირში სიურპრიზები იშვიათი როდი იყო. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ რინგის მასპინძლების — მექსიკელების წარმატება. მათ ჩამოტოვეს ისეთი ძლიერი მოკრივეები, როგორიც არიან პოლონეთის, იტალიის, რუმინეთის სპორტსმენები და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავეს. რ. დელგადომ (მეორე უმჩატესი წონა) და ა. როლდანმა (ქვესუბუქი წონა) ოქროს მედლები მოიხვეჭეს. მეორე საშუალო წონის მოკრივემ სარაგოსამ და მძიმეწონოსანმა როჩამ ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. მექსიკელებმა სპეციალისტებიც კი გააოცეს კარგი ტექნიკით, აჯრესიული სტილით, შეუპოვრობითა და გამარჯვებისადმი დაუცხრომელი სწრაფვით.

წარმატებით გამოვიდნენ „არენა მექიკოს“ რინგზე ლათინური ამერიკის ქვეყნების მოკრივეები. ვენესუელელმა ფ. როდრიგესმა ოქროს მედალი მოიგო პირველ უმჩატეს წონაში. კუბელები რეგეიფეროსი (პირველი ქვესაშუალო წონა) და გარბეი (პირველი საშუალო წონა) კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდნენ. ბრაზილიელმა ოლივეირამ (მეორე უმჩატესი წონა) და არგენტინელმა კუილოტიმ (მეორე ქვესაშუალო წონა) ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს.

მექსიკის ოლიმპიადის ნამდვილი აღმოჩენაა აფრიკის მოკრივეთა წარმატება, თუმცა მათ საკმაო ტექნიკა არა აქვთ — ზედმეტად სწორხაზობრივად იბრძვიან, არაფრად აგდებენ დაცვას, მაგრამ ამ ხარვეზებს ანაზღაურებს შეუპოვრობა, გამარჯვებისადმი ლტოლვა, ფიზიკური მომზადება. განსაკუთრებით სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორებმა — უგანდელმა მუკვანგამ (მჩატე წონა) და კამერუნელმა ვესალამ (მეორე ქვესაშუალო წონა). ეს მოკრივეები სულ 22 წლისანი არიან და, სპეციალისტთა აზრით, შესანიშნავი სპორტული მომავალი აქვთ.

მოულოდნელი იყო პოლონელ მოკრივეთა უხერხო გამოსვლა. მათ წინასწარ ბრძოლაში ექვსი მოკრივე გამოაკლდათ. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პოლონელებმა IV ადგილი დაიკავეს, ტოკიოში კი II ადგილზე იყვნენ. წარმატებით გამოვიდნენ ტოკიოს ოლიმპიადის გმირები ი. გრუჟენი (მსუბუქი წონა) და ე. კულეი (პირველი ქვესაშუალო წონა), თუმცა გრუჟენმა ამჯერად ვერცხლი მოიპოვა, კულეიმ კი თავის კოლექციას კიდევ ერთი ოლიმპიური ოქროს მედალი დაუმატა.

სიხარული და გულისტკივილი

სპორტსმენისთვის სოლიდურმა ასაკმა წარმატებაში ხელი ვერ შეუშალა საბჭოთა გუნდის ისეთ ვეტერანებს, როგორიც არიან 30 წლის ბ. ლაგუტინი და ა. კისელიოვი, 29 წლის დ. პოზნიაკი და ი. ჩეპულისი. ლაგუტინი და პოზნიაკი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ, კისელიოვი და ჩეპულისი კი ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა გუნდის ახალწვეულები — ჩებოქსარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, 22 წლის ვ. სოკოლოვი (მჩატე წონა) და კიეველი სამხედრო მოსამსახურე, 23 წლის ვ. მუსალიმოვი (მეორე ქვესაშუალო წონა). პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მეორემ კი ბრინჯაოს მედალი დაიკუთრა. სოკოლოვმა დამაჯერებლად მიიღო ესტაფეტა 1960 წლის რომის ოლიმპიადის ჩემპიონ ო. გრიგორიევისგან.

მუსალიმოვს სულ ცოტა დააკლდა, რომ ნახევარფინალში მოეგო გდრ-ის მოკრივე მ. ვოლკესთვის, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. მედგარ, დაძაბულ ბრძოლაში ხუთიდან სამმა მსაჯმა გამარჯვებულად გერმანელი მოკრივე სცნო.

ვ. ზაპოროჟეცისა (პირველი უმჩატესი წონა) და ნ. ნოვიკოვის (მეორე უმჩატესი წონა) წარუმატებლობაზე საგანგებოდ შევჩერდებით. ორივე ახალგაზრდაა — ერთი 21, მეორე — 22 წლისაა. ორივე უეჭველად ნიჭიერი მოკრივეა, კარგი მომავლის მქონე, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ჯერ ვერ მიაღწიეს სპორტული ოსტატობის მწვეფვალებს და საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილებაც აკლიათ. ოლიმპიურ რინგზე ამ სპორტსმენებმა შესანიშნავი წრთობა მიიღეს და შეცდომა იქნებოდა მათი გამოყვანა ეროვნული ნაკრებიდან. ვფიქრობ, გაისად ევროპის ჩემპიონატში ისინი თავს გამოიჩენენ.

ჰორიზონტზეა ბუქარესტი

1969 წლის ევროპის პირველობა ბუქარესტში გაიმართება. ცხადია, პოლონელი მოკრივეები შეეცდებიან ოლიმპიადაში წარუმატებლობის გამო რევანშის აღებას. ბუქარესტში ამასვე შეეცდებიან საბჭოთა მოკრივეებიც — კონტინენტის ბოლო პირველობაში მათ ხომ პოლონელები გაუშვეს წინ. უძლიერესთა დავაში ჩაებმებიან ბულგარელებიც, რომლებმაც კარგად იასპარეზეს „არენა მექიკოს“ რინგზე. ოლიმპიური პრიზიორები ი. მიხაილოვი (ქვემსუბუქი წონა) და გ. სტანკოვი (ქვემძიმე წონა) შეეცდებიან ევროპული ოქროს მოხვეჭას. ჩემპიონთა წოდებისთვის იბრძოლებენ იტალიის, გდრ-ის, რუმინეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების მოკრივეებიც. ერთი სიტყვით, ბუქარესტის რინგზე ღირსეული მეტოქეები მოიყრიან თავს. გვინდა გვჯეროდეს, რომ სსრ კავშირის ეროვნული ნაკრები კვლავ გაბდება ევროპული კრივის ლიდერი.

ბ. ოლშევსკი,
სპორტის ოსტატი.

ნარეკვეზა ოლიმპიურ რინგზე

სურათზე: დ. პოზნიაკი.

ესტაფეტა მოზარდებმა მიიღეს

თანამედროვე ხუთჭიდელთა წლეულს გამართულ შეჯიბრებებში სეზონის პირველი ტურნირიდანვე აშკარად შეიმჩნეოდა თაობათა ცვლა. და აი, ამ დღეებში თბილისში დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა, რომლის 29 მონაწილიდან 28 მოზარდი იყო. ვეტერანებიდან მხოლოდ დინამოელი ა. მარტა გამოვიდა სარბიელზე, მაგრამ ისიც შეუძლოდ იყო და სამი სახეობის შემდეგ გამოეთიშა შეჯიბრებას.

ასე რომ, ბურთი და მოედანი მოზარდებს დარჩათ და რესპუბლიკის უძლიერესი ხუთჭიდელის სახელი რომელიმე მათგანს პირველად უნდა მოეპოვებინა. ალბათ ამ სტიმულის გამოც იყო, რომ ასპარეზობა საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

შეჯიბრება ჩინებულად დაიწყო სპარტაკელმა ნ. ხუციშვილმა. მან ლიდერობა ხელთ იგდო ფარიკაობასა და სროლაში წარმატების შემდეგ. ცურვასა და მძლეოსნობაში შედარებით წარუმატებლობას ხუციშვილისთვის ჩემპიონობის გზაზე ხელი არ შეუშლია, მაგრამ ყოველივე უნდა გადაეწყვეტა ცხენოსნობას, სადაც ყველაფერია მოსალოდნელი. ამ დროს ხუციშვილი 79 ქულას უგებდა II ადგილზე მყოფ დინამოელ პ. რუბეჟანსკის. ცხენოსნობაში ჯერ რუბეჟანსკიმ სცადა ძალა და ფინიშთან 1010 ქულა დაიმსახურა. წილისყრამ არც ხუციშვილს შეახვედრა უხვირო ცხენი და მეტოქეს მან აქაც 30 ქულით აჯობა.

ცხენოსნობაში საასპარეზოდ მხოლოდ 15 საუკეთესო შედეგის მქონე თბილისელი სპორტსმენი დაუშვეს. სოხუმმა და ქუთაისმა ამ შეჯიბრებაში 3-3 კაცი მოავლინა, მაგრამ სპორტსმენები სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ და არც ერთ მათგანს ბოლომდე არ უბრძოლია. მსაჯთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია სოხუმელი ა. გვათუას თვითნებობამ: მან ორი სახეობის შემდეგ უნებართვოდ მიატოვა შეჯიბრება. მეორე დღეს კი ამავე „ხერხს“ მიმართა გვათუას ორმა თანაგუნდელმაც.

საქართველოს ჩემპიონობა და რესპუბლიკის სპორტკავშირის პრიზი წილად ხვდა ნ. ხუციშვილს, რომელმაც 4952 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა პ. რუბეჟანსკი (4843), ხოლო III — სპარტაკელი ი. ჯარიაშვილი — 4726.

თ. გაჩეჩილაძე.

* * *

მოგვყავს პრიზიორთა ტექნიკური შედეგები სახეობების მიხედვით: **ფარიკაობა.** 1. ხუციშვილი — 1078-ქულა, 2. პ. გოეთე, 3. ბ. ილოლოვი (ორივე — „დინამო“) — 1039-1039; **სროლა.** 1. ხუციშვილი — 934, 2. ვ. გოეთე („დინამო“), 3. რუბეჟანსკი — 890-890; **ცურვა.** 1. ვ. კალინინი („დინამო“) — 922, 2. ხუციშვილი — 916, 3. ნ. ქაჯაია („დინამო“) — 901; **მძლეოსნობა.** 1. კალინინი — 1124, 2. რუბეჟანსკი — 1084, 3-4. ჯარიაშვილი და ქაჯაია — 1052-1052; **ცხენოსნობა.** 1. ნ. ვართანოვი („დინამო“) — 1100 (1.39,0), 2. ქაჯაია — 1100 (1.42,6), 3. ი. ლაქტიონოვი („დინამო“) — 1100 (1.44,3).

* * *

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული ნ. ხუციშვილი.

ფოტო ავტორისა.

რაიონული ჩანაწერები

ადიგენი

დამთავრდა შეჯიბრება პიონერულ ოთხჭიდში. „მეგობრობად“ წოდებული ტურნირი ახალგაზრდა ჯგუფების მიხედვით მოეწყო. გოგონებში გაიმარჯვეს ნ. მინაძემ, მ. გორგოძემ, თ. ნატროშვილმა, ა. მინაძემ (ყველა — სოფ. ვარხანი), ნ. ბერიძემ, ა. მელქონიანმა (ორივე — აბასთუმანი), თ. რეხვიაშვილმა (სოფ. მოხე). ჭაბუკებში ყველას აჯობეს რ. ხარშილაძემ, ზ. აფრიამაშვილმა (ორივე — სოფ. ბოლაჯერი), ა. აფრიამაშვილმა, ვ. კაჭკაჭიშვილმა (ორივე—სოფ. არალი), ნ. მაისურაძემ, ს. მანუკიანმა (ორივე — აბასთუმანი), კ. გოგრიჭიანმა (მოხე). 44 ბავშვმა შეასრულა მოზარდთა თანრიგის ნორმატივები.

ნ. მამულაშვილი,
სპორტსკოლის დირექტორი.

ოჩამჩირე

„კოლმეურნის“ რაიონული სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

რ. ჰედია.

სპორტული ლაგოდეხი

ასპარეზობდნენ ფალავნები

სახელოვანი კომკავშირის 50 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის თაოსნობით ჩატარდა. შეჯიბრებაში 5 გუნდის 48 მოჭიდავე მონაწილეობდა. გუნდური პირველობა დამსახურებულად მოიპოვეს ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მოჭიდავეებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: ნ. ღვალაძე, თ. ალხაზოვი, ი. ბიბილაშვილი, გ. ბუზალაძე, ი. ყაჩმაზოვი, ვ. მაკაროვი, თ. მირიანაშვილი, ზ. გაბარაევი.

რედაქციის თასზე

ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა რაიონული გაზეთის „გაბარჯვების დროშის“ თასის გათამაშება ფეხბურთში. ასპარეზობაში 15 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ვარდისუბნის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობისა და აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გუნდები. თამაში მოიგეს ვარდისუბნელებმა და თასიც მათ გადაეცათ.

ფრენბურთის ბადესთან

საინტერესოდ ჩატარდა განათლების განყოფილების თასის გათამაშება ფრენბურთში. მოსწავლე ჭაბუკებში I ადგილი და თასი დაისაკუთრეს ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის ფრენბურთელებმა. გოგონებში ყველას აჯობეს და თასიც მოიპოვეს ნინიგორის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

კალათბურთის ფარეგთან

ლაგოდეხის ბავშვთა სპორტულმა სკოლამ გამართა რაიონული შეჯიბრება კალათბურთში. ჭაბუკებში გაიმარჯვეს ორჯონიკიძის საშუალო სკოლის კალათბურთელებმა, ხოლო გოგონებში — ნინიგორელმა მოსწავლეებმა.

ფ. კვირიკაშვილი.
(ჩვენი კორ.).

... ჩანაწერები

დახმარების ხელი

რაიკოოპერატივის პარტიული ორგანიზაციის დია კრებამ ... გაზაფხულს გადაწყვიტა ... ის აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლას სპორტული ბაზის კეთილმოწყობაში დახმარებოდნენ. რაიკოოპერატივმა (გამგეობის თავმჯდომარე ტ. ჩაჩანიძე) მართლაც დიდი დახმარება გაუწია სკოლას. მოსწავლეებს უკვე აქვთ კალათბურთის კეთილმოწყობილი მოედანი.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

... ჩანაწერები

ბ. ...

საჩხერე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის ნაკრები — ფინალში

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 11 ნოემბერი.

სსრ კავშირი (ნაკრები) — ფინეთი (ნაკრები) 5:0 (2:0).

სსრ კავშირი: ჩანოვი, კოზინი (აქსიონოვი), ჩიტაური, ზვიაგინცევი, ბუტურლაკინი, მირზოიანი, ხისამუტდინოვი, გრიგორიევი, აბრამოვი (დუდინსკი), შევჩენკო, კურაშინოვი.

ფინეთი: საირანენი, სუხონენი, ანდერსონი, ვიპტილა (სუპონენი), პოტი, მელტურანტა, მანონენი, ბრენსი, დეგერტი, ვაკლინი, ჰააპაინენი (ლიუსკი).

მსაჯი დ. ციულოკი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

მატჩის პროგნოზის გაკეთება არ წარმოადგენდა რთულ პრობლემას. ფინელმა ფეხბურთელებმა ბოლო ადგილი დაიკავეს საერთაშორისო ტურნირის გორის ქვეჯგუფში, ამასთან, წაგეს უეფა-ს ტურნირის პირველი შესარჩევი მატჩი სსრ კავშირის ნაკრებთან (1:3) და დამარცხდნენ V ადგილისთვის ბრძოლაშიც (გდრ-ის გუნდთან). ამიტომ მათი შანსები განმეორებითი შესარჩევი მატჩის წარმატებით დამთავრებაზე მინიმალურს არ აღემატებოდა.

მაგრამ ფეხბურთში ხშირად ხდება საოცრებანი და მოსალოდნელ უსიამოვნებათა თავიდან აცილების მიზნით საბჭოთა გუნდმა თავიდანვე მთელი სიძლიერით, საფუძვლიანი ინიციატივით წარმართა თამაში. ფინელთა ტანმორჩილ მცველებთან ბრძოლა საბჭოთა ნაკრების თავდამსხმელებისთვის არ იყო ძნელი, ამას გარდა, როგორც ტექნიკაში, ისე სისწრაფეში განსხვავება საგრძნობი გახლდათ ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ. თუ არ ვცდებით, საბჭოთა გუნდის მეკარე ჩანოვს სულ ერთხელ მოუხდა სახიფათო მომენტში ჩარევა, როცა ფეხებში ჩაუხტა ჰააპაიინენს. ეს იყო მატჩის დასაწყისში, სტუმრების ეპიზოდური კონტრშეტევისას. დანარჩენ შემთხვევებში თამაშში მონაწილეობა ძირითადად უხდებოდა საირანენს.

ფინელთა კარის დარაჯმა რამდენიმე ძნელ სიტუაციაში ითამაშა კარგად, მერე კი, მე-14 წუთზე, იძულებული იყო ბურთი ბადიდან გამოეტანა. გრიგორიევის გარღვევა მარჯვენა ფლანგიდან დამთავრდა ცენტრში გადაცემით და შევჩენკოს ზუსტი დარტყმით — 1:0.

მეორე გოლის გატანას საკმაო ხანი დასჭირდა, მაგრამ 30-ე წუთზე გრიგორიევმა მაინც შეძლო თავისი გუნდის მორიგი იერიშის გოლით დასრულება — 2:0.

შესვენების შემდეგ ახალგაზრდა საბჭოთა ფეხბურთელთა იერიშებს უფრო მეტი სიმძლავრე და სიზუსტე მიეცა და ანგარიშიც ამის შესაბამისად იზრდებოდა. ჯერ კურაშინოვმა, ხოლო შემდეგ შევჩენკომ და კვლავ კურაშინოვმა სამჯერ აიღეს მეტოქის კარი და საბჭოთა გუნდმა 2 მოგებული მატჩით (ბურთების საერთო შეფარდებით 8:1) გაინაღდეს უეფა-ს ჭაბუკთა ევროპული პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება.

რ. ქორიძე.

* * *

სურათზე: შესანიშნავი სილამაზის გოლი გაიტანა ფინელთა კარში საბჭოთა გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვ. შევჩენკომ (იგი ბაქოს „ნეფტჩიდანაა“). მეკარე საირანენი უძლური იყო აეღო ბურთი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

„ა“ კლასის საგზური გათამაშდება სოჭში

„ა“ კლასის II ჯგუფის ოთხ ქვეჯგუფში მთელი სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა I ადგილების დასაკავებლად. ახლა ოთხივე ქვეჯგუფში გამარჯვებულები გამოვლინდნენ და ისინი იბრძოლებენ ერთადერთი საგზურისთვის, რომელიც საგაისოდ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას იძლევა.

ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი არიან: „კარპატი“ (ლვოვი), „სუდოსტროიტელი“ (ნიკოლაევი), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) და „ირტიში“ (ომსკი). პრეტენდენტთა ფინალური ტურნირი გათამაშდება სოჭში. გათამაშება იწყება 17 ნოემბერს. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან „კარპატი“ — „სუდოსტროიტელი“ და „ურალმაში“ — „ირტიში“.

II ტურის მატჩები შედგება 20 ნოემბერს, ხოლო III — 23 ნოემბერს.

სამტრედიელთა წარმატება

ყირიმის ქალაქ შებეტოვკაში საბჭოთა მეურნეობა „ოკტებელის“ სტადიონზე 12 დღეს გაგრძელდა ტრადიციული ტურნირი მოკავშირე რესპუბლიკათა სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, ბელორუსიის, უკრაინის, ტაჯიკეთის, მოლდავეთისა და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები. საქართველოდან შეჯიბრებაში გამოდიოდა სამტრედიის რაიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი.

სამტრედიელმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს და II ადგილი დაიკავეს. საუკეთესო მცველის პრიზი მიიღო ჩვენმა ფეხბურთელმა ო. გეგეშიძემ.

I ადგილი წილად ხვდა „ოკტებელს“ (ყირიმის ოლქი).

ჯ. ვაშაკიძე.



2:1, 1:0, 0:0

გლაზგო. აქ შედგა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი შოტლანდიისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის.

შოტლანდიელებმა გამარჯვების მოპოვება შეძლეს მხოლოდ მინიმალური განსხვავებით — 2:1.

სტრასბურგი. საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მიიღო ნორვეგიის ნაკრები. სტუმრებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა. და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 1:0.

ბუქარესტი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩი რუმინეთისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 0:0.

სურათზე: სსრ კავშირის თასის წლევანდელი მფლობელი — მოსკოვის „ტორპედო“.

ფოტო ნ. პრივალოვისა.

ჩვენს მომავალ მეტოქეს საკავშირო ჩემპიონატის გულო მატჩში — მოსკოვის „ტორპედოს“ სულითა და გულით ვულოცავთ საკავშირო სპორტული ნადავლის — სსრ კავშირის თასის მოპოვებას.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები.

მერკვლის ყველის ტბის ნაპირზე

ჩვენი კარავები ყელის ტბის პირას იდგა. გაგიგონიათ ალბათ: მთიულეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვართან, ჩამქრალ ვულკანებს შორის ჩაბეჭდილია ლაჟვარდისფერი სარკე — ეს არის სწორედ ყელის ტბა. სიმაღლის მზომი აქ თითქმის 3000 მეტრს უჩვენებს. უფრო პატარა ტბები მრავლადაა გაბნეული მთელ ზეგანზე დიდი და პატარა ლიახვის ქსნის. არაგვისა და თერგის სათავეებს შორის.

დღეს ჩვენ დიდი აღმართი ამოვიარეთ. ღილით. მლეთში, სამხედრო გზატკეცილზე გამვლელი ავტომანქანების ხმაურმა გამოგვაღვიძა, ახლა კი... ავტომობილს კი არა, ცხენებსაც გაუპირდათ აქ ამოსვლა.

მე და ჩემი ასისტენტი ბიძინა ერთ კარავში მოეხვიდით. სახელდახელო ვახშმის შემდეგ (რომელიც სადილიც იყო) სრიცვეს გავეშეცოთ და, სამიე ტომრებში ჩამძვრალები, ძილისთვის მოვემზადეთ. მოქანცულს მალე მომეკიდა რული. ბიძინა რაღაცას მეკითხებოდა ხვალინდელ მარშრუტზე, მაგრამ ჩემს ყურყურს ვერაფერი გაუგო, გადაბრუნდა და...

— ვინ ხართ ამ კარავში? — მოგვესმა გარედან ვოლაცის რიხიანი ხმა. — თუ შეიძლება, გამობრძანდით!

გოცებული ამოვძვერი ტომრიდან. სწრაფად ჩავიცვი და გარეთ გავედი.

კარავთან მაღალი, მწვანეარეულით გამხმარი ორმოცოდოდ წლის კაცი იდგა.

— რა გნებავთ? — ვკითხე უცნობს.

— უწინარეს ყოვლისა, გავიცნოთ ერთმანეთი, — მიპასუხა მან. — საკურორტო-სპორტული კომპლექსის დირექტორი ზაზა მამაცაშვილი.

— საკურორტო-სპორტული... — დაბნეულად გავიმეორე. — მერე აქ როგორ მოხვედით, ან თქვენი ცხენი სადაა?

— თქვენ მეკითხებით იმას, რაც მე უნდა გკითხოთ. მაგრამ რომელ ცხენზე მელაპარაკებით?

— რით ამოხვედით, მაშ ქვეითად?

— ჰმ, — ჩაეცინა მას, — საბაგირო გზით.

მე ხარხარი ამიტყდა.

— ხუმრობა გყვარებიათ, — ძლივს მოვითქვი სული. — ან რა უნდა აქ საკურორტო-სპორტული დაწესებულების წარმომადგენელს, მშენებლობას ხომ არ აპირებთ აქ, ღრუბლებს ზევით?

— მშენებლობა ძირითადად დამთავრებულია, — მიპასუხა მამაცაშვილმა სავსებით სერიოზულად. — აი, მაგალითად, საცეგურაო-სანაოსნო სადგური. აბა, უკან მიიხედეთ.

მივიხედე : და სახტად დავრჩი. იქვე, ჩვენი კარვების უკან სვეტებით დამშვენებული სამსართულიანი შენობა აღმართულიყო. მიდამოს თვალი მოვავლე და მხოლოდ ახლა შევაქციე ყურადღება ყელის ტბაზე მოცურავე ნავებს.

— ეს ყველაფერი ან რაღაც საოცარი მოჩვენებაა, ან თქვენი ჰიპნოზური ნიჭის ნაყოფი, — ვუთხარი ახალმოსულს. — აქ კარვები რომ დავდგით, არც ეს შენობა იყო, არც ნავები.

ახლა მამაცაშვილს აუტყდა სიცილი.

— ოხუნჯი სწორედ თქვენ ყოფილხართ — მითხრა მან, — მაშ თქვენ მარწმუნებთ, რომ უკვე ათი წელია, რაც კარავში გძინავთ?

— როგორ თუ ათი წელი!

— როგორ და ეს ყველაფერი უკვე ათი წელია არსებობს.

— შეუძლებელია. — შევკივრე მე. — ხუთი წლის წინათაც ვყოფილვარ ყელის ტბაზე და აძის მსგავსი არაფერი მინახავს. ვერც ვნახავდი. 1963 წელს აქ მეცხვარეების ქოხის-მეტი არაფერი იდგა.

— სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ თქვენ არითმეტიკაში მოიკოჭლებთ, — დინჯად მიპასუხა მან. ვინც თავს საკურორტო-სპორტული კომპლექსის დირექტორი უწოდა. — 1963 წელი ჩვენგან დაშორებულია არა ხუთი, არამედ 21 წლით.

— რომელი წელია ახლა? — ირონიულად კკითხე.

— 1984, — იყო პასუხი.

შიშისგან მუხლებში ჩავიკეცე. ჩემი სტუმარი აშკარად გიჟი იყო. უნუგეშოდ მივიხედ-მოვიხედე.

— ბიძინა, როსტომ, კუკური, პეტრე, ანთიმოზ! — ვიყვირე რაც ძალი და ღონე მქონდა.

კარვებიდან ტომრების შრიალი მოისმა და ჩემი ამხანაგები გარეთ გამოცვივდნენ. ბიძინას მონადირის ნაჯახი ჩაებღუჯა. ანთიმოზს

— გეოლოგიური ჩაქუჩი.

— რა მოხდა, დაგვეცა ვინმე? — კითხულობდნენ ბიჭები და მოულოდნელ სტუმარს მრისხანედ შეჰყურებდნენ.

— არავინ, — ვუპასუხე მე. — გაიხედ-გამოიხედეთ და მითხარით, რომელი წელია ახლა?

ბიჭებმა თვალები დაჭყიტეს. შემდეგ ერთხმად ალაპარაკდნენ:

— ეს სასაცილო საიდან გაჩნდა?

— ან ეს ნავები?

— მაშ. რომელი წელია ახლა? — გავუმეორე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს პეტრემ, რომელიც ჩვენს შორის ყველაზე ჩახედული იყო ფილოსოფიაში, თქვა:

— აქამდე ვიცოდი, რომ 1968 წელია. მაგრამ ახლა ოცდამეერთე საუკუნეში ვგრძნობ თავს.

— მაშ რა მოხდა? რა დაგვემართა, როდის ავმართეს აქ სახლი და ამოიტანეს ნავები? — კითხულობდნენ ბიჭები.

მე მამაცაშვილს მივუახლოვდი.

— მაშ თქვენ დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ ახლა 1984 წელია, და რომ ეს შენობა აქ 1974 წლიდან დგას.

— ამას მტკიცება არ სჭირდება, ეს ასეა, — მიპასუხა მან.

ისევ დუმილი.

— დროის მანქანა! — იყვირა ერობაშად პეტრემ. — ვიღაცამ განახორციელა ჰერბერტ უელსის ფანტაზია და თავისი ადმოჩენა პირველად ჩვენზე გამოსცადა.

— ჩვენი ცხენები რა იქნა? — იკითხა როსტომმა და თვითონვე უპასუხა კითხვას. — ბიოლოგიური კანონის ძალით ცხენები უკვე დახოცილები იქნებიან. უკან დაბრუნებას თუ მოვახერხებთ?

— სულ ადვილად, — უპასუხა დირექტორმა. — თქვენ საიდან ამოხვედით — ერმანიდან თუ მლეთიდან?

— მლეთიდან.

— აქედან საშიოდე კილომეტრის მანძილზე საბაგირო გზის ზედა სადგურია. იქამდე შემიძლია ჩვენი მანქანით მიგიყვანოთ, იქიდან კი ჯიხურით ან სავარძლით 20 წუთში მლეთში იქნებით.

— მე ვლაპარაკობ არა სივრცეში, არამედ დროში დაბრუნებაზე. — თქვა როსტომმა. — რატომ უნდა დავკარგოთ 16 წელი!

— ჰო, ეს ძალიან არსებითი საკითხია, — ჩაერია კუკური. — თბილისში ორი წლის ბიჭი დავტოვე. გამოდის, რომ ის უკვე 18 წლისაა. შეიძლება არც მცნოს მამად...

დირექტორმა ქუდი კეფაზე გადაიჩოჩა.

— ამისას ვერაფერს მოგახსენებთ. რამდენადაც ვიცი, დროის მანქანა უტოპიად რჩება. არსებობს „დაგვიანებული გამოსხივების მეთოდი“, რომელიც საშუალებას იძლევა დავინახოთ წარსულში მომხდარი ამბები. ამას წინათ მოსკოვიდან ბოროდინოს ბრძოლის სურათი გადმოსცეს ამ მეთოდით. პეტრე ბაგრატიონიც კი გამოჩნდა. მაგრამ მომავალში „გადადროებისა“ და „გადმოდროების“ შეხაძლებლობებზე ჯერ მეცნიერულ წრეებში სერიოზული საუბარი არ ყოფილა.

დადარდიანება რომ შეგვატყო, მამაცაშვილმა განაგრძო:

— უნდა ვიფიქროთ, რომ ვინც თქვენი „გადმოდრრება“ განახორციელა, იგი საწინააღმდეგო მოქმედებასაც დასძლევს. სხვათა შორის, მე თქვენს დაჯარიმებას ვაპირებდი — აკრძალულ ზონაში დაგიდგამთ კარვები, მაგრამ რაკი დროში გადაადგილებული ყოფილხართ, გეპატიებათ ახლანდელი წესების უცოდინარობა.

ამ სიტყვებთან ერთად მან ჯიბიდან სასაბნის ტოლი ლითონის კოლოფი ამოიღო, პირთან მიიტანა და ჩასძახა:

— ლაპარაკობს დირექტორი. ისმინე, გარაჟის გამგე! რვაადგილიანი ყველგანმავალი „კავკასიონი“ ათ წუთში ჩამოაყენეთ ყელის ტბის საცეგურაო-სანაოსნო სადგურის წინ. ვწყვეტთ საუბარს.

შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა:

— საცეგურაო სეზონი ყელის ტბაზე საშუალოდ 6 თვეს გრძელდება: ნოემბრიდან აპრილამდე. სანაოსნო — 5 თვეს. ივნისიდან ოქტომბრამდე. სადგური გაანგარიშებულია ერთდროულად 500 კაცისთვის. არსებობს ნაკლები გამტარიანობის სადგურები სხვა ტბებზე. სათხილამურო სეზონი ზეგანზე 8 თვეს მოიცავს. ის სპორტსმენები, რომელთაც დროის მოგება ესაჭიროებათ, ამოდიან ან ერმანიდან მუდმივმოქმედი საავტომობილო გზით. ან მლეთიდან — საბაგიროთი. ამას გარდა, ტარდება საკურნალო ღონისძიებებიც სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე სანატორიუმებში. მთავარია ტუბერკულოზის მკურნალობა ულტრაიისფერი სხივებით. შეკითხვები იქნება?

— რა მიზანს ისახავდნენ, როდესაც ამ გაყინულსა და ტიტველ ადგილზე ამოდენა მშენებლობა დაიწყეს? — იკითხა ანთიმოზმა. — ვერ მონახეს უფრო გასაძლისი რაიონები?

ამ დროს ჩვენთვის ნაცნობი ავტომობილის მსგავსმა რაღაც მანქანამ ხრიალი მოადინა ჩვენს წინ. მძღოლი მოგვესალმა. დირექტორის მიწვევით ყველანი მოვკალათდით „კავკასიონში“ და მანქანა დაიძრა.

— თქვენ მეკითხებით, რასთან დაკავშირებით წამოიკრა აქ საკურორტო-სპორტული კომპლექსის დაარსების იდეა. მგონი, ეს 1968 წელსაც სავსებით გასაგები იყო: იმ წელიწადს ხომ ჩვენი სპორტსმენები მეხიკოს ოლიმპიადისთვის ემზადებოდნენ. მაშინაც რომ ყოფილიყო ის, რასაც თქვენ აქ ხედავთ, შედეგები იმ ოლიმპიადაში კიდევ უკეთესი იქნებოდა. ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე, ჰაერზე ვარჯიში სპორტული წარმატების საუკეთესო საწინდარია. 1969 წელს დამტკიცდა მშენებლობის პროექტი. მისი განხორციელება 5 წელიწადს გრძელდებოდა. ეკავშირის დედაქალაქ კიტოში გამართულ ოლიმპიადამდე საბჭოელმა სპორტსმენებმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს და ამაში ამ ხრიოკ ზეგნის წვლილიც დიდი იყო...

ამ დროს ჩვენმა სატრანსპორტო საშუალებამ ქვიანი ხერი გადალახა და თვალწინ გადაგეშალა ზეგნის სხვა ნაწილი. არჩეების ტბაში იალქნიანი ნავები დასრიალებდნენ. მეფისალორების ძირში კოხტა შენობები მოჩანდა.

— სანატორიუმები და სპორტული სადგურებია, — აგვიხსნა დირექტორმა. — ახლა იქ უამრავი საბჭოელი და უცხოელი სპორტსმენი, ტურისტი თუ ავადმყოფია თავმოყრილი. განვავთ, შეეცურდეთ ტბაში?

ყველგანმავალი შხაპუნით შეიჭრა ლურჯ სარკეში, ნავებს შორის მიხვევ-მოხვევით გაიარა ტბა და ქვიანი ხეობით ავიდა უნაგირაზე, საიდანაც მეორე. ისეთივე ლაჟვარდოვანი ტბა გამოჩნდა. წყლის ზედაპირზე თხილამურებით დასრიალებდნენ ქალები და ვაჟები. ისმოდა შეძახილები სხვადასხვა ენაზე.

— ახლა კი გაჩვენებთ თქვენი გულიანი სიცილის მიზეზს, — მომმართა მამაცაშვილმა.

— საბაგიროს?

მანქანამ გადალახა რამდენიმე სერი, გუარა ფერდობზე შეფენილ ცხვარს და მიადგა ზეგნის ერთობლივ არქიტექტურულ სტილზე ნაგები შენობას. რომლიდანაც მაღალ ანძებს ფოლადის მსხვილი ბაგირი მიჰყვებოდა არაგვის ხეობისაკენ.

— ზედა სადგური, — გამოაცხადა მძღოლმა.

ბაგირთან ერთად თითქმის უხმოდ დასრიალებდნენ შუშაბანდიანი ჯიხურები და ღია საკიდლები.

— ჯიხური ოთხ ადამიანს იტევს, საკიდელი კი ორს, — განმარტა დირექტორმა. — ეგზურსიების მწყობრში ჩადგომამ დიდძალი ენერგეტიკული სიმძლავრე მისცა საქართველოს, — თქვენ ეს, რასაკვირველია, გესმით, მაგრამ უშუალოდ არ იცით. ბაგირი მოძრაობს კონვეიერულად. სისწრაფე — 3 მეტრი წამში. შეიძლებოდა მეტი სიჩქარეც. მაგრამ მგზავრთა აკლიმატიზაციის თვალსაზრისით ეს ნაკლებ მისაღები იქნებოდა. ხაზზე, ზედა და ქვედა სადგურებს გარდა, არის შუალედური სადგურებიც. სადაც ხდება ჯიხურებისა და საკიდლების ავტომატური გადართვა ერთი კონვეიერიდან მეორეზე. ეს ხერხი ბოლო დროის ტექნიკური მიღწევაა, რომლითაც თავიდან ვიცილებთ მგზავრების ასვლა-ჩამოსვლას საბაგირო ტრანსპორტიდან, ბაგირის უწყვეტი მოძრაობისას...

მამაცაშვილი გატაცებით აგვიწერდა კომპლექსის ღირსებებს. მაგრამ ჩვენს გოცებას და აღტაცებას ანელებდა უსიამოვნო გრძნობა: გვაწუხებდა ჩვენი „გადადროების“ ამბავი. რა ფიქრები არ გვიტრიალებდა თავში! მთავარი ის იყო, რომ ვერ გამოგვიცნო, რა შედეგები მოჰყვებოდა ჩვენთვის და ჩვენი ახლობლებისათვის ამ საკვირველ გადასახლებას 16 წლით წინ.

ბოლოს კუკურიმ ჩუმ ტანჯვას ვეღარ გაუძლო — და დირექტორს სიტყვა გაწყვეტინა:

— ეს ყველაფერი დიდებულია. მაგრამ სადაც ასეთი ტექნიკა გაქვთ, ამდენ ხალხს მასპინძლობთ, იქ კარგი კავშირგაბმულობაც გექნებათ. შეიძლება დავუკავშირდეთ თბილისს და გავიგოთ, ვინ დარჩა ცოცხალი 1984 წელს, ჩვენი ახლობლებიდან ხელოვნებიდან?

— მაქვს ტელეფონი რადიოსადგურთან, — ... — ... — ...